

სამართლებრივი ტენდენციები

პროფესიული დიალოგი იურისტებს შორის – აუცილებელი პირობა სამართლის განვითარებისა და სამართლის პოლიტიკისათვის

ნორპერტ ბერნსდორფი*

საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში სამართლის მისაღებობაზე ძირითადად მაშინ მსჯელობენ, როცა ის არ არის თავისთავად ცხადი. კითხვები – გაუქმდეს თუ არა მოქმედი სამართალი, როგორ განვითარდეს იგი, ან, საერთოდ, უნდა განვითარდეს თუ შეიცვალოს და როგორ – დაისმის მხოლოდ მაშინ, როცა ცნობილია, თუ რა ითვლება ამჟამად სამართლად და როგორ განიმარტოს იგი, ვინაიდან მხოლოდ ასეა შესაძლებელი მსჯელობა იმაზე, ტოვებს თუ არა მოქმედი სამართალი რაიმეს ღიად და, კერძოდ, რას. სამართლის განმარტება პრაქტიკაში ხორციელდება იურისტთა მსჯელობებითა და შეხედულებათა ურთიერთგაზიარებით. სწორედ მსჯელობის შედეგად ხდება ნათელი, უნდა განიმარტოს თუ არა ესა თუ ის ნორმა, ან არის თუ არა იგი განმარტებადი და იკვეთება ასევე მისი განმარტების ფარგლები. ამიტომაც აზრთა მრავალფეროვნება იურიდიულ დისკუსიაში სამართლის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. რა ადგილს იკავებს გერმანულ სამართლებრივ სივრცეში იურიდიული დიალოგი, რა მნიშვნელობა აქვს მას და როგორია მისი შედეგები? ვინ არიან ამ დიალოგის მონაწილენი?

რატომ არის დღეს ესოდენ მნიშვნელოვანი პროფესიული დიალოგი იურისტებს შორის, რომელსაც სხვაგვარად ადვოკატების, სამართლის მეცნიერების, მასმედიისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილებათა არა მხოლოდ მსუბუქ, არამედ მწვავე კრიტიკასაც უწოდებენ? დასავლურ დემოკრატიებში, მაგალითად გერმანიაში, ეს საკითხი ძირითადად გაშუქებული და განხილულია. ცნობილია იურიდიული პროფესიული დისკუსიის მრავალნირი ფორმა და მათი ნაყოფიერი ზეგავლენა სამოსამართლო სამართლის განვითარებასა და სამართლებრივ-პოლიტიკური ინტერესების ცენტრში მყოფ კანონმდებლობაზე. ამასთან, სწორედ ეს უკანასკნელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გერმანიისთვისაც, ვინაიდან სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება მუდმივად აცხადებენ პრეტინზიას „სამართალშემოქმედების მონოპოლიაზე“.

სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო საქმიანობის ურთულესი ამოცანაა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „ოპტიმალური გადაწყვეტა“ იპოვოს, რაც სამართლის მისაღებობისა და ეფექტურიანობის წინაპირობაა. სწორედ ამიტომ საუბრობდნენ გერმანელი მეცნიერები მე-18 საუკუნის მიწურულს „სამართლისათვის განუწყვეტელ ბრძოლაზე“, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს არა მორიცებული თავშეკავებითა და შემრიგებლური შესტით, არამედ სიმართლისათვის შეუპოვარი ბრძოლით“. ამ განვითარების მამოძრავებელი

* გერმანიის სოციალურ საკითხთა ფედერალური სასამართლოს მოსამართლე. სტატია „სამართლის განვითარება იურიდიულ დისკუსიაში აზრთა მრავალფეროვნების მეშვეობით“ მოხსენების სახით იქნა წარდგენილი სამხრეთკავკასიური „მრგვალი მაგიდის“ წინაშე, რომელიც ჩატარდა თბილისში 2008 წლის 14 აპრილს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) საზოგადოების პროექტის – „სამართლისა და სასამართლოს რეფორმები სამხრეთ კავკასიაში“ – ფარგლებში.

სამართლებრივი ტენცონიგი

ძალა არის პროფესიული დიალოგი იურისტებს შორის. იგი არ შეიძლება მდორედ მიეღინებოდეს, არამედ უნდა იყოს ნაყოფიერი და ცოცხალი. ცოცხალი დისკუსია კი ხასიათდება მონაწილეთა აქტიურობით, პოლემიკითა და გონიერამახვილური დიალოგებით. ეს ყოველივე თუ შესაბამის ფარგლებშია მოქცეული, მისასალმებელია, ვინაიდან პოლემიკა არ გამორიცხავს ობიექტურობას, იწვევს წინააღმდეგობას, რითაც ხელს უწყობს აზრობრივ წინსვლას და, ბოლოს, სწორად გამიზნული აქცენტები უფრო ნათელს ხდის შესაბამის სამართლებრივ პრობლემას.

„სამართლისათვის ბრძოლა, უპირველესად, მოსამართლეთა საქმეა. თუ კანონმდებელი სამართალშემოქმედებითი საქმიანობისათვის ტოვებს ასპარეზს იმით, რომ ან შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ნორმებით, რომელიც თითქოსდა „დიად და ტოვებული კანონშემოქმედებაა“, ან მთლიანად უარს ამბობს რეგულირებაზე, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე გამოდის ასპარეზზე და იურიდიული პროფესიული დალოგი, დისკუსიისა თუ განსხვავებულ აზრთა ურთიერთგაცვლის სახით, იქცევა სამართლის დახევნისა და განვითარების აუცილებელ პირობად. ამაში აუცილებელია თითოეული სპეციალისტის აქტიური მონაწილეობა. ამ კუთხით სამართლის გაუმჯობესება ითვალისწინებს, დიალოგში მონაწილეობდეს შეძლებისდაგვარად ყველა სპეციალისტი და არავინ დარჩეს აღნიშნული პროცესის მიღმა. ეს დისკუსია სწორედ იმით სულდგურობს, რომ ყველა, ვისაც საქმესთან დაკავშირებით რაიმე პროგრესული აქვს სათქმელი, აცხადებს ამას და აქვს კიდევ ამის უფლება.

ქვემოთ, გერმანიის მაგალითებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულად განვიხილავთ დიალოგს მოსამართლეთა შორის და მოსამართლებთან, ადვოკატების, სამართლის მეცნიერების, მასმედიისა და პოლიტიკური ნერების ნარმომადგენლების მონაწილეობით, აგრეთვე ძალიან მოკლედ შევეხებით იურიდიულ დიალოგს კანონმდებელთან; ამასთან, ყურადღებას შევაჩერებთ იურიდიული დავის ფარგლებზე, რომლებიც დგინდება მრავალფეროვანი წესებით – ნაწილობრივ საკანონმდებლო, ასევე სტილის, გემოვნებისა და პატიოსნების ასპექტებით.

I. იურიდიული პროფესიული დიალოგი მოსამართლებს შორის – რისი თქმის უფლება აქვთ მოსამართლებს საჯაროდ სხვა მოსამართლეებზე?

„სამოსამართლო სამართალს აქვს მთელი რიგი უდავო უპირატესობებისა. რადგან იგი „პრეცედენტული სამართლის“ სახით ვითარდება, წარმოშობს ოპტიმალურ შანსებს რეალობასთან ახლომყოფი წესების განვითარებისათვის. სასამართლოთა მცდარი ან დროისათვის შეუსაბამო გადაწყვეტილებები უფრო ადვილად სწორდება, ვიდრე კანონმდებლისა. ამასთან, მართლმსაჯულება გერმანიაში, კანონმდებლობასთან შედარებით, პოლიტიკურად ნაკლებად დამოკიდებულია და ნაკლებად განიცდის ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენას. ამის მიუხედავად, „სამოსამართლო სამართალსაც“ ახასიათებს გარკვეული „სისუსტეები“. მისი განვითარება დიდ ძალისხმევასთან დაკავშირებული პროცესია. სასამართლოთა მრავალრიცხოვნობის გამო ხშირად რთულია ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტების თავიდან აცილება, დასაწყისშივე მცდარ მართლმსაჯულებაში ცვლილების შეტანა, თუ იგი უკვე დამკვიდრდა პრაქტიკაში.

გერმანიაში ასევე ზემდგომი ინსტრუმენტის სასამართლოთა მართლმსაჯულების შეცვლის მიზეზი ხშირად თვით მოსამართლეთა წრიდან წამოსული კრიტიკა ხდება. ასეთი კრიტიკის აუცილებელ წინაპირობად საჯაროობა იქცევა ხოლმე, ამიტომაცაა, რომ გერმანიაში მეორე და ბოლო ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებათა 78% გამოქვეყნებულია კრებულებში, პროფესიულ ურნალებში ან იურიდიულ მონაცემთა ბაზაში. წებისმიერ მსურველს წებისმიერ დროს, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, შეუძლია მათი მოპოვება მთავარი თეზისის, შესაბამისი ნორმებისა თუ საკვანძო სიტყვების მიხედვით.

სამართლებრივი ტენიანციები

პრაქტიკაში იყენებენ კიდეც მოსამართლეთა კრიტიკულ დამოკიდებულებას. მაგალითად: უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოები – ადმინისტრაციული განსჯადობის მეორე ინსტანციის სასამართლოები – 1984 წლამდე, როგორც წესი, არ აკმაყოფილებდნენ შრილანკიდან დევნილთა სარჩელებს თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებით. ქვედა ინსტანციის ბევრ მოსამართლეს ეს პრაქტიკა არასწორად მიაჩნდა – ისინი ასეთ პირებს გერმანიაში ცხოვრების უფლებას აძლევდნენ, როთაც არ ითვალისწინებდნენ ზედა ინსტანციის მიერ დანერგილ პრაქტიკას, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ზემდგომი ინსტანცია მათ გადაწყვეტილებას მაინც გააუქმებდა. ამის შემდეგ უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლოებმაც უარი თქვეს თავიანთ პრაქტიკაზე. ამ მაგალითით ქვედა ინსტანციის მოსამართლეებმა „თამამი ნაბიჯი“ გადადგეს და, რისკის ფასად, არად ჩააგდეს თავიანთი სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების ალბათობა.

მაგრამ, თუ მოსამართლე დაარღვევს „თავშესავებისა და ზომიერების“ პრინციპებს, მაშინ მთავრდება გონიერული დისუსის საზღვრები. ამ თვალსაზრისითაც მოიპოვება მაგალითები: საგნობრივი და ობიექტური კრიტიკის საზღვრები ირღვევა, როცა საჯარო ხდება სენატში გამოვლენილ აზრთა სხვადასხვაობა. 1998 წელს გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს (სამოქალაქო სამართლებრივი განსჯადობის უზენაესი ინსტანცია) სენატი იხილავდა ნასყიდობის ხელშეკრულებისას ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკითხებს. ვინაიდან გერმანიაში საგნობრივი განსჯადობის უმაღლესი სასამართლოებისათვის – განსხვავებით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსაგან – გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრის გამოხატვის „სარქეელი“ დაზურული იყო, საქმის განმხილველი სენატის ორმოსამართლეს შორის აზრთა სხვადასხვაობამ გადაინაცვლა მეცნიერული დისუსის დონეზე, იგი იქცა უზრნალის სტატიების, კონფერენციათა რეფერატებისა და გადაწყვეტილებათა კომენტარების თემად. ასეთი რამ კი მიუღებელია. პროცესში მონანილე მოსამართლეებს ზოგადად უარი უნდა ეთქათ თავიანთი გადაწყვეტილების მეცნიერული საფუძვლის მოშველიებით კომენტირებაზე, გაუქმებადი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ თავის დაცვაზე, არ უნდა მიეთითებინათ იმაზე, რომ მათი გადაწყვეტილება ზედა ინსტანციის მიერაა დადასტურებული, საჯაროდ არ უნდა გამოექვეყნებინათ გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოს სხდომაზე გახმიანებული მოსამართლის განსხვავებული აზრი.

II. იურიდიული პროფესიული დიალოგი მოსამართლეებთან – რა წვლილის შეტანა შეუძლიათ ადვოკატებსა და სამართლის მეცნიერებს, მასმედიისა და პოლიტიკური ნრეების ნარმომადგენლებს „სამოსამართლო სამართლის“ ოპტიმიზაციის საქმეში?

სასამართლო გადაწყვეტილების ავტორიტეტთან დაკავშირებით დღეს აღარ ამბობენ, რომ მოსამართლე მოქმედებს ხალხის სახელით. გერმანელი მოსამართლეები და საზოგადოება კარგა ხანია, აღარ განმარტავენ ასეთ ავტორიტეტს ამ ფორმულის მიხედვით, არამედ მათთვის მნიშვნელოვანია მოსამართლეთა მოქალაქეობრივი სტატუსი. ავტორიტეტი იმავდროულად ტვირთიცაა, იგი, ერთი მხრივ, უნდა ინცვედეს ნდობას, მეორე მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, – უნდა კონტროლდებოდეს.

ადვოკატურა: სამოსამართლო სამართლის განვითარებაზე კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმახორციელებელი არის ადვოკატი.

სამართლის ნორმების გათვალისწინება და მათი განხორციელება უმეტესწილად ადვოკატურაზე რომ არის დამოკიდებული, ცხადია. ადვოკატები მოქმედებენ როგორც იურიდიული მრჩევლები. ისინი, ჯერ ერთი, საკონსულტაციო ფუნქციის გამო დიდ ზეგავლენას ახდენენ იმაზე, თუ რა საქმეები „ნარდგება“ სასამართლოს წინაშე; მეორეც, ნოვატორული

სამართლებრივი ტენდენციები

თვალსაზრისის მეშვეობით ხშირად დიდი წვლილი შეაქვთ „სამოსამართლო სამართლის“ განვითარების საქმეში. მაგალითად: 1954 წელს უზენაესი ფედერალური სასამართლოს მიერ „ზოგადი პიროვნული უფლებისა“ (იხ.: 1954 წლის 25 მაისის – „Schachtbrief“ – გადაწყვეტილება, BGHZ, 13, 334) და 1983 წელს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების“ („Volkszählungs“ – გადაწყვეტილება, 1983, 15.12, BVerfGE, 65, 1) აღიარება გამოიწვია ძირითადად ადვოკატთა მიერ მოსამართლეთა ყურადღების ამ საკითხებისათვის მიქეცევამ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შემთხვევები, როცა ადვოკატები საკუთარი ინიციატივით, ანურაიმე პროცესისაგან დამოუკიდებლად, ცდილობდნენ, თავიანთი პროფესიული გაერთიანების მეშვეობით მოქედინათ ზეგავლენა სამოსამართლო სამართალზე. ასე შეცვალა, მაგალითად, 1988 წელს ადვოკატურის „ლია წერილის“ ზეგავლენით ქვედა საქსონიის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკა ნოტარიუსთა ლიცენზირების საკითხთან დაკავშირებით.

მოსამართლებსა და ადვოკატებს შორის პროფესიული დიალოგის წარმართვისათვის გერმანიაში არსებობს მრავალი პლატფორმა. დაახლოებით 130-მდე იურიდიული ჟურნალის თითქმის ნახევარზე მეტი აქვეყნებს შენაშვნებს გადაწყვეტილებებზე. მათ ავრცელებენ ასევე ელექტრონული გზით. მაგალითად, გერმანიაში უდიდესი იურიდიულ მონაცემთა ბაზა „Juris“ ნებისმიერ პირს აძლევს სასამართლო გადაწყვეტილებათა კომენტირებისა და კრიტიკის შესაძლებლობას. სხვა სადისკუსიო ფორუმები მოსამართლეთა და ადვოკატთა შეხვედრებს წარმოადგენს ინსტიტუციურ დონეზე, როგორებიცაა, მაგალითად: „გერმანელ იურისტთა დღე“, „გერმანელ ადვოკატთა დღე“, ე.ნ. „მოსამართლეთა კვირეული“, „მოსამართლეთა რჩევები“ და სხვა.

ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა ძალა აქვს ადვოკატთა მიერ გადაწყვეტილებათა კრიტიკას, ე.ნ. „ხელმძღვანელ პირებთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებაა, რომელიც გამოიტანა ჩემმა სენატმა (BSGE, 95, 275) 2005 წლის 24 ნოემბერს. ამ გადაწყვეტილებით, გერმანიის ერთ-ერთი დიდი სანარმოს ხელმძღვანელობას საპენსიო სადაზღვევო ფონდის სასამართლოდ დიდი შენატანების გადახდა დაეკისრა. ეს გადაწყვეტილება შეეხო ასევე გერმანიის დამსაქმებელთა კავშირის თავმჯდომარესაც, რომელიც გერმანიაში საქმაოდ გავლენიანი და ცნობილი პიროვნებაა. ადვოკატები და საგადასახადო აგენტები ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკურად არადამაკაყოფილებად მიიჩნევდნენ. კანონმდებელზე მათმა ზეგავლენამ ისეთი ვითარება შექმნა, რომ შეიცვალა შესაბამისი სამართლებრივი ნორმა და ჩვენი გადაწყვეტილება სამომავლოდ უმოქმედო აღმოჩნდა.

ადვოკატურის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებათა კრიტიკის ფარგლები განისაზღვრება მისი, როგორც სამართლის განმახორციელებელი ორგანოს, ფუნქციით. მაგალითად, გერმანიაში, უმეტესწილად, არ სანქციორდება პუბლიკაცია გრიფით: „საკუთარ საქმეში“ ან „მანდანტის საქმეში“. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც წესი, ერიდებიან სასამართლო პროცესის მოსამზადებელ და მის თანმხელე პუბლიკაციებს პროცესის პარალელურად (ე.ნ. „ბუმერანგის ეფექტი“, მაგრამ არცთუ იშვიათად გაისმის პროცესის წამყვან ადვოკატთა განცხადებები, რომლებიც სამართლებრივი დავის ნეგატიურად დამთავრების შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილებათა არამდგრადობას უსვამენ ხაზს და მოსამართლებს მოუწოდებენ, სამომავლოდ გადასიჯვონ ეს „მცდარი“ შეხედულებები. გერმანიის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ადვოკატმა, კონრად რედეკერმა, და გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, პორსტ ზენდლერმა, ამასთან დაკავშირებით აღნიშნეს:

„ბუნებრივია, სასამართლო პროცესის ეს წარმომადგენლები იურიდიული დისკუსიის ფარგლებს მიღმა არ უნდა დარჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სცილდებიან

სამართლებრივი ტანზაციონი

ობიექტურობის ფარგლებს, ვინაიდან სხვისი საქმის გათავისებას ცდილობენ. ამიტომ, ყველა შემთხვევაში, უნდა აღიარონ, რომ მათი „მეცნიერული შემეცნებები“ ცალმხრივ ხასიათს ატარებს.“

ამასთან, სტილის, გემოვნებისა და პატიოსნების გამოც შეიძლება გააკრიტიკოს ან, სულაც, გალანძღვის მოსამართლე და მისი გადაწყვეტილება აღვოკატმა. ამ კრიტიკას ვერ ეფარდება სანქცია, ვინაიდან იგი არც ამორალური, არც შეურაცხმყოფელი, არც ცილისმწამებლურია და არც მოსამართლის დამოუკიდებლობას ხელყოფს.

სამართლის მეცნიერება: იურისტებს შორის პროფესიულ დიალოგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლის მეცნიერთა მონაწილეობა. სამწუხაროდ, არც გერმანიაშია მათი, როგორც სამოსამართლო სამართლის განვითარების მაკონტროლებლის, როლი სათანადოდ გამოკვეთილი.

სამართლის მეცნიერება და მოსამართლები ერთსა და იმავე ფუნქციას ახორციელებენ, კერძოდ, ხელს უწყობენ სამართლის განვითარებას. ისინი ამ მიზანს განსხვავებული გზებით აღნიშვნენ: მოსამართლის მიზანი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანაა, სამართლის მეცნიერთა კი ცნების დადგენა-დაზუსტება. მოსამართლისათვის ცნება ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა მრავალთა შორის და რაც უფრო წაკლებია მეცნიერთა მიერ მისთვის მიწოდებული ცნებების რაოდენობა, მით უფრო აქტიურად მიმართავს იგი სხვა საშუალებებს. უნივერსიტეტის პროფესიონისათვის კი პირიქით, სასამართლო გადაწყვეტილება მასალაა, რომელსაც იგი გონიერი აფასებს. ეს მას საშუალებას აძლევს, კრიტიკულად შეხედოს ნორმებს, დასახოს განვითარების ტენდენციები და ამ გზით წარმოაჩინოს განვითარების ახალი გზები, რაც ისევ და ისევ მოსამართლეს წაადგება.

გერმანიაში მოსამართლები და უნივერსიტეტის პროფესორები ერთმანეთთან იშვიათად მართავენ დისკუსიებს. ამ მხრივ ბევრი რამ არის დასახვეწი, ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ პროფესორები არასათანადოდ აფასებენ სამოსამართლო პრაქტიკას, შემდეგ კი უკმაყოფილონი არიან, როცა მოსამართლეები (სასამართლოები) არ იზიარებენ მათ სამართლებრივ შეხედულებებს და არ ახდენენ ციტირებას მათი ნაშრომებიდან.

არაობიექტურობისა და ზედმეტი თავდაჯერებულობის საუკეთესო მაგალითი მოგვცა 1985 წელს გერმანელმა საერთაშორისო სამართლის პროფესორმა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს საერთაშორისოსამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გამო მან უზენაეს ფედერალურ სასამართლოს უწოდა „დილეტანტთა სასამართლო“, რომელსაც მძიმე სამართლებრივი შეცდომა „გაეპარა“. სასამართლოს, რომელზეც იგი ექსპერტის რანგში გამოდიოდა, კანონის დარღვევაში დასდო ბრალი. მის კრიტიკას სხვა პროფესორები გამოეხმაურნენ და პროფესორს დაუმტკიცეს, რომ სწორედ თვითონ იგი იცავდა ამ „მცდარ“ აზრს რამდენიმე წლის წინ. მეცნიერთა დასაბუთებული შეხედულებების შედეგად უზენაესი ფედერალური სასამართლო შემოთავაზებული მიმართულებით არ განვითარდა. ბერლინის სამოქალაქო საქმეთა მოსამართლემ, ეგმონტ ვიტენმა, ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ შემთხვევას:

„მოსამართლე, რომელიც ახალ სფეროს ეხება, არის მეცნიერთა გამოხმაურების მოლოდინში. მათგან იგი შველას, იდეებსა და ხელშეწყობას მოელის. მას არ სჭირდება სკოლის მასწავლებელი, რომელიც ისეთი რუდუნებით აფასებს მიღწეულ გადაწყვეტილებას, თითქოს ეს მისი სასემინარო ნაშრომი იყოს!“

გასმედია: თუ მასმედია საკუთარ აზრს „ეფექტის მოხდენის ან პოპულარობის მოხვეჭის“ მიზნით არ გამოხატავს, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამართლის განვითარების

სამართლებრივი ტენდეციები

საქმეში. იგი სახელმწიფოს „შეტევისაგან“ მაშინაც უნდა იყოს დაცული, როცა მოსამართლეთა კორპუსის მიმართ არახელსაყრელ შეხედულებას აქვეყნებს.

მართლმსაჯულების „ელასიკური“ ფორმით კრიტიკას მასმედია ახორციელებს. მაშინაც კი, როცა სასამართლო ანგარიშებს, როგორც წესი, პროფესიით არაიურისტები ადგნენ, მაღალი შეფასება უნდა მიეცეს მათს ზეგავლენას „სამოსამართლო სამართალზე“. გერმანიაში მრავლად მოიპოვება მაგალითი იმისა, როცა მასმედია წარმატებით ახორციელებს მაკონტროლებელ ფუნქციას. ამისი პლატფორმა უმაღლეს ფედერალურ სასამართლოთა „სასამართლო პრესკონფერენციებია“, ყოველდღიური გაზიერების სასამართლო ანგარიშები და სატელევიზიო გადაცემებია რეალური თუ ფიქტიური სასამართლო პროცესების შესახებ („საგზაო საქმეთა განმხილველი სასამართლო“, „საოჯახო დავების განმხილველი სასამართლო“).

გერმანიაში საქმის განმხილველი სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში მასმედიას ხშირად დიდი წვლილი შეაქეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მძიმე ეკონომიკურ დანაშაულებში მონაწილე ეჭვმიტანილებს შეეხებათ. დაუნდობლად აშკარავდება და მთელი საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება ხოლმე საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისა და სამართალგამოყენების დროს დაშვებული შეცდომები. ასეთ შემთხვევაში იუსტიცია მზად უნდა იყოს, ჩაერთოს დიალოგში მის მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეული პროცესის გარემოებებთან დაკავშირებით. საჯარო კრიტიკა, როგორც წესი, ნეგატიური ხასიათისაა. თუ მართლმსაჯულება ამასთან დაკავშირებით დუმილს არჩევს, შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ მას არ სურს, ვინმე „ჩახედოს საკუთარ სამზარეულოში“ და რომ მან რაღაც გაასაიდუმლოა.

შთამბეჭდავი მაგალითითა ჰამბურგის საპანკო სისტემის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მიმართ 2006 წელს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის გამოტანისას ჰამბურგის მეორე ინსტანციის სასამართლოს, ერთი მხრივ, დიდად წაადგა ჰამბურგის პრესის მიერ ჩატარებული შურნალისტური გამოძიების შედეგები; მეორე მხრივ, პრესა სასამართლოს ხან აქებდა, ხანაც აუგად მოიხსენიებდა. მაშინაც კი, როცა განაჩენი კანონიერ ძალაში იყო შესული, მოსამართლებს კვლავ საათობით უწევდათ პასუხის გაცემა შურნალისტთა კრიტიკულ შეკითხვებზე.

მასმედის კრიტიკა, ამავე დროს, არ შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, სარკაზმული, უსამართლო. ე.წ. „შეურაცხმყოფელი“ კრიტიკის ტიპური მაგალითია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის 25 აგვისტოს (NJW 1994, 2943) „ჯარისკაცის განჩინება“ ანუ „მკვლელების განჩინება“. ამ შემთხვევაში საუბარი იყო კაცზე, რომელმაც თავის ავტომანქანზე დაკარა წარნერა: „ჯარისკაცები მკვლელები არიან – კურტ ტუხოლსკი“ (გერმანელი შურნალისტი და მწერალი). საქმე განიხილა ქვედა ინსტანციის სასამართლომ და ბრალდებულს ჯარისკაცის პროფესიის შეურაცხყოფისათვის შეუფარდა სანქცია. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ეს განაჩენი და მიუთითა აზრის თავისუფლად გამოხატვის შეზღუდვაზე. როცა ცნობილი გახდა ამ განჩინების შესახებ, პრესამ არნახული კამპანია გააჩაღა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ და მისი როლის შესახებ გენერალურ დებატებში ჩაერთო.

პოლიტიკა: ყველაზე კრიტიკულად განწყობილი პარტნიორი იურიდიულ დიალოგში პოლიტიკა.

პოლიტიკის როლი მართლმსაჯულებასთან მიმართებით ნაწილობრივ აღინიშნება როგორც „ხალხიდან მომდინარე გამძვინვარება“, რომელმაც მოსამართლის კანონისადმი მორჩილება უნდა შეცვალოს საჯარო თვალსაზრისისადმი მორჩილებით, უბრალო ენით რომ

სამართლებრივი ტანზაციონი

ვთქვათ, „ქუჩის მხრიდან ზენოლისადმი მორჩილებით“. გოტფრიდ მარკნპოლცმა, წარსულში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ, ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

„პოლიტიკის მხრიდან განაჩენის კრიტიკა ხელს უწყობს ხალხსა და მართლმსაჯულებას შორის „სისხლის მიმოქცევის“ გაუმჯობესებას – იცავს მოსამართლეს „დახაცესებისა“ და თვითდაჯერებულობისაგან, ამავე დროს, მუდმივად იღებს სტიმულს, ცნოს ან უკუაგდოს იგი“...

ამ თვალსაზრისით პოლიტიკის წარმომადგენელთა რეაქციები ხელს უწყობს კანონის განმარტებას მოსამართლის მიერ, რომელიც რეაგირებს საზოგადოებრივ ურთიერთობზე; მეორე მხრივ, ისინი ამყარებენ მოსამართლის დამოუკიდებლობას, ვინაიდან ეს მოსამართლეთა კორპუსის მხრიდან განსაკუთრებულ გამძლეობას მოითხოვს. ამიტომაც იყო სწორედ, რომ „ჯვარცმასთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების“ გამო სამართლისადმი დაუმორჩილებლობის შესახებ მონითებამ არ გამოიწვია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენისა და მნიშვნელობის შესუსტება. 1995 წლის მაისის გადაწყვეტილებით, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასკოლო ოთახებიდან გაეტანათ „ქრისტე ჯვარცმა“, რაც შეესაბამებოდა არამორწმუნე/არაქრისტიანი მოსწავლეების ნება-სურვილს (BVerfGE 93,1).

III. იურიდიული დიალოგი კანონმდებელთან – კანონმდებლის აქტიური მცდელობა სამართლებრივი სიცხადის მისაღწევად

მოსამართლეთა მსგავსად, კანონმდებელსაც ექმნება „შემეცნებისა და გადაწყვეტილების მიღების“ პრობლემა. ოფიციალური ხასიათის კომპრომისებს, კულისებს მიღმა პოლიტიკურ ვაჭრობას, მოწყალებებსა და ინტერესთა ჯგუფების მხრიდან ზეგავლენებსაც შეუძლია გამოიწვიოს გერმანიაში კანონმდებლის ოპორტუნისტული პოზიცია. ყოველივე ამისაგან კანონმდებელი თავს იცავს იმით, რომ თვითონ ესწრაფვის პროცესიულ დიალოგს იურისტებთან. გერმანიაში ამ მიზანს ემსახურება პარლამენტში იურისტებით დაკომპლექტებული კომიტეტების შედგენა, პროფესორთა საექსპერტო დასკვნების მოძიება და დანიშვნა იურისტი ექსპერტებისაგან შემდგარი კომისიებისა, რომლებშიც, თუმცა ჯერ კიდევ ძალზე მცირერიცხოვნად, მოსამართლეებიც შედიან.

IV. დასკვნა

ერთი მხრივ, არ შეიძლება დაირღვეს მართლმსაჯულებასა და ადვოკატურას, სამართლის მეცნიერებს, მასმედიისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს შორის არსებული ბალანსი. მუდამ გამოკვეთილი უნდა იყოს ურთიერთპატივისცემა; მეორე მხრივ კი, იურიდიული დიალოგის ფარგლებში გამოხატული კრიტიკა, მართლმსაჯულების კრიტიკაც, ავლენს მათს მაღალსამართლებრივ კულტურას. თუ ფარგლები დაცული იქნება, მოსამართლეები ყველაზე მეტად იქნებიან კმაყოფილი, „ჩვენი“ სამართლი კი ნაკლებად დაზარალებული აღმოჩნდება, კიდევ უფრო განვითარდება და დაფასდება.